

დამტკიცებულია შპს ცხუმ-ეგრისის დირექტორის

2019 წლის 2 მაისს N 01-16 ბრძანებით

შესულია ცვლილება დირექტორის

2021 წლის 17 მარტის N 01-09 ბრძანებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

საბუღალტრო აღრიცხვა

1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის მიხედვით შექმნილია პროგრამა: - ბუღალტრული აღრიცხვა  
- Accounting

2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის მიხედვით შექმნილია პროგრამა: - 04114-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში - Higher Vocational Qualification in Accounting

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა“, კოდი 0411, აღმწერი - „შეისწავლის ფინანსური ოპერაციების განხორციელებას, აუდიტირებასა და აღრიცხვას.“

4. მიზანი : პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს და შრომის ბაზარს შესთავაზებს კვალიფიციურ ბუღალტერს, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

5. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მონაგარიმედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

7. სტრუქტურა და მოდულები :

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგადი მოდულს 11 კრედიტის მოცულობით და 16 პროფესიულ მოდულს 88 კრედიტის მოცულობით.

ბუღალტრული აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 99 კრედიტი, რომელთაგან 3 მოდული (11 კრედიტი)სავალდებულო ზოგადი მოდულია, 16 მოდული (88 კრედიტი) სპეციალიზაციის სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდული. ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის მოცულობა ქართული ენის მოდულების გათვალისწინებით არის 129 კრედიტი. მოდულების - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება დაიწყება ქართული ენის მოდულით.

- კრედიტი სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისათვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია-99 კრედიტი სავარაუდო ხანგრძლივობა- 18 სასწავლო თვე
  - კრედიტი სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისათვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია- 129 კრედიტი. სავარაუდო ხანგრძლივობა- 20 სასწავლო თვე
- ინფორმაცია მოდულის/ მოდულების დისტანციური სწავლების შესაძლებლობების შესახებ წარმოდგენილია დანართში N 27 ( ინფორმაცია დისტანციური სწავლებისა და შეფასების შესაძლებლობების შესახებ

სავალდებულო ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	უცხოური ენა - (ინგლისური)	-	5
2	მეწარმეობა 3	-	3
3	ინფორმაციული წიგნიერება 2	-	3
	სულ:		11
სავალდებულო პროფესიული მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	-	7

2	ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება	-	3
3	სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა	მოდული: ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	9
4	კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა	-	5
5	საგადასახადო დეკლარირება	-	4
6	სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები	-	4
7	ინვენტარიზაცია	სრული ზოგადი განათლება	2
8	ფინანსური ანგარიშგების შედგენა		8
9	ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით	მოდული: სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა	12
10	მმართველობითი აღრიცხვა	-	8
11	Ms Excel	მოდული: ინფორმაციული წიგნიერება 2	6
12	ბიზნეს ინგლისური	-	5

13	აუდიტის საფუძვლები	-	2
14	ეკონომიკური ანალიზი	-	5
15	გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა	-	2
16	პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება	-	6
	სულ		88

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

- შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა;
- შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სამუშაო ფორმებს (სააღრიცხვო დოკუმენტები);
- აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები;
- შეავსოს და გააგზავნოს დეკლარაციები;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება;
- აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით;
- აწარმოოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე;  აწარმოოს მმართველობითი აღრიცხვა;  შეასრულოს ეკონომიკური ანალიზი.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება საგანმანათლებლო დაწესებულებამ ჩარჩო დოკუმენტის „ბუღალტრული აღრიცხვის“ საფუძველზე შეიმუშავა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება

შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით: მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.
12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის 26 დანართი

- დანართი N 1: ზოგადი მოდული ინფორმაციული წიგნიერება
- დანართი N2: ზოგადი მოდული მეწარმეობა 3
- დანართი N3: ზოგადი მოდული უცხოური ენა დანართი N4: პროფესიული მოდული გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა
- დანართი N5: პროფესიული მოდული ბიზნეს ინგლისური
- დანართი N6: პროფესიული მოდული ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები დანართი N7: პროფესიული მოდული ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება
- დანართი N8: პროფესიული მოდული ინვენტარიზაცია დანართი N9: პროფესიული მოდული ეკონომიკური ანალიზი დანართი N10: პროფესიული მოდული საგადასახადო დეკლარირება
- დანართი N11: პროფესიული მოდული აუდიტის საფუძვლები
- დანართი N12: პროფესიული მოდული სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები
- დანართი N13: პროფესიული მოდული კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა
- დანართი N14: პროფესიული მოდული მმართველობითი აღრიცხვა
- დანართი N15: პროფესიული მოდული ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით

დანართი N16: პროფესიული მოდული ფინანსური ანგარიშგების შედგენა

დანართი N17: პროფესიული მოდული საადრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა

დანართი N18: პროფესიული მოდული Ms Excel

დანართი N19: პროფესიული მოდული პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება

დანართი N20: მოდული ქართული ენა A2

დანართი N21: მოდული ქართული ენა B1

დანართი N22: ქართული ენის სასწავლო გეგმა

დანართი N23: სასწავლო გეგმა

დანართი N24: პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი დანართი

N25: მატერიალური რესურსის ჩამონათვალი.

დანართი N26: პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული

ხელშეკრულებები.

დანართი N 27 ინფორმაცია დისტანციური სწავლებისა და შეფასების შესაძლებლობების შესახებ